



შპს ბარაკონი

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1^ბ, III სართული

ელ-ფოსტა: info@barakoni.edu.ge

ტელეფონი: (+995 322) 30 80 86

მობ.: 599 50 40 52; 577 09 09 02

საკონტაქტო პირი - გიორგი ფოფხაძე
ნინო ხაჩიძე

თბილისი

2019

შპს ბარაკონის მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები

ოფისის მენეჯერი

პროგრამის ხანგრძლივობა				პრაქტიკული და თეორიული სწავლების თანაფარდობა		
სასწავლო კვირა	სასწავლო დღე	სასწავლო საათი	დატვირთვა კვირაში (სთ)	პრაქტიკული სწავლება (სთ)	თეორიული სწავლება (სთ)	პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცენტული წილი
8	40	144	18	100	44	70% / 30%

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 1000 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მინიმალური რაოდენობა - 5)

პროგრამის ღირებულება ერთ მოსარგებლეზე - 950 ლარი (ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა - 10)

პროგრამა შედგება 3 სასწავლო კურსისგან: პროფესიული ეთიკა და საქმიანი ურთიერთობების ეტიკეტი (24სთ), საქმისწარმოების საფუძვლები (88სთ) და საოფისე კომპიუტერული პროგრამები (32სთ).

პროგრამის მიზანია მსმენელებს შეასწავლოს: ოფისის მენეჯერის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები; საქმისწარმოების ძირითადი ასპექტები და მისი მნიშვნელობა; სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა; საარქივო საქმის წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; პროფესიული ეთიკისა და ეტიკეტის წესები.

პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- პირადი დოკუმენტების მომზადებას;
- სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირებას, რეგისტრაციასა და ოპერატიულად შენახვას;
- საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო დოკუმენტების პროექტების მომზადებას;

შპს ბარაკონის მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები

- ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობას;
- ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, შენახვას;
- დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას;
- საკუთარი თავის ეფექტურად მართვას სხვადასხვა სიტუაციებში;
- კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას ეფექტურ და სწორ კომუნიკაციას;
- სატელეფონო საუბრის წარმართვას ეტიკეტის დაცვით;
- სხვადასხვა საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet) გამოყენებას.